საქართველოს მოსამართლეთა კონფერენცია

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №1

ქ. თბილისი

24 მარტი, 2024 წელი

„საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა
სადისციპლინო კოლეგიის საქმიანობის წესში“
ცვლილებების დამტკიცების თაობაზე

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 66-ე მუხლის, საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის რეგლამენტის მე-6, მე-7 და 26[1] მუხლების შესაბამისად, საქართველოს მოსამართლეთა კონფერენცია

ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის საქმიანობის წესში“ ცვლილებები თანდართული სახით *(დანართი №1).*

2. დადგენილება ამოქმედდეს 2024 წლის 24 მარტიდან.

ილონა თოდუა

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის
ადმინისტრაციული კომიტეტის თავმჯდომარე

დანართი №1.

„საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის 24-ე მუხლის და „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ" საქართველოს კანონის N1 დანართის N1 ცხრილის შესაბამისად „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადიციპლინო კოლეგიის საქმიანობის წესში ცვლილებების შეტანის შესახებ"

1. შევიდეს ცვლილება საქართველოს საერთო სასამართლოების სადისციპლინო კოლეგიის საქმიანობის წესის 1-ელი მუხლის მეორე ნაწილში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

- „წესი ემყარება საქართველოს კონსტიტუციას, საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანულ კანონს და სხვა ნორმატიულ აქტებს."

2. შევიდეს ცვლილება საქართველოს საერთო სასამართლოების სადისციპლინო კოლეგიის საქმიანობის წესის მე-2 მუხლის მეორე ნაწილში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

- „სადისციპლინო კოლეგია საქმიანობას ახორციელებს საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანულ კანონის, ამ წესის და სხვა ნორმატიული აქტების საფუძველზე."

3. შევიდეს ცვლილება საქართველოს საერთო სასამართლოების სადისციპლინო კოლეგიის საქმიანობის წესის მე-7 მუხლის მეორე ნაწილში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

- სადისციპლინო კოლეგიის სხდომები დახურულია, ხოლო დისციპლინური საქმის განხილვასთან დაკავშირებული ინფორმაცია - კონფიდენციალურია.სადისციპლინო კოლეგიის წევრი და დისციპლინური ბრალდების წარმდგენი პირი ვალდებული არიან დაიცვან ამ ინფორმაციის კონფიდენციალურობა. საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანულ კანონით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა.

4. შევიდეს ცვლილება საქართველოს საერთო სასამართლოების სადისციპლინო კოლეგიის საქმიანობის წესის მე-13 მუხლში და აღნიშნული მუხლს დაემატოს მე-4 პუნქტი, რომელიც ჩამოიყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ამ მუხლის პირველი პუნქტით რეგულირებული საშტატო ნუსხასა და თანამდებობრივი სარგოს განსაზღვრის შესახებ დანართში ნებისმიერი შემდგომი ცვლილება განისაზღვროს სადისციპლინო კოლეგიის თავმჯდომარის ბრძანებით, კანონმდებლობის შესაბამისად."

5. ასევე, საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადიციპლინო კოლეგიის საქმიანობის წესის დანართში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადიციპლინო კოლეგიის აპარატის თანამდებობრივი სარგოები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

დანართი:

№	თანამდებობის დასახელება	საშტატო ერთეულის რაოდენობა	თანამდებობრივი სარგო
1.	მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	2	1815
2.	მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1	1452
3.	მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1	1392

II. ეს ცვლილება ამოქმედდეს მიღებისთანავე.